ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1366544

ნომერი: AR1233453

თარიღი : 01.07.2014

გაცემის თარიღი : 03.07.2014

გაცნობის თარიღი : 03.07.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი-გლდანის მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე;

დამკვეთი-განმცხადებელი
- არჩილ ძაგანია პ/ნ 62001023226
- სოხუმი ე.ეშბას ქ. N 195ა ბ. 13

ორგანიზაცია:
- შპს "ელეფანტ" კოდი: 400033432

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 16.09.2013წ. #866919 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 07/01/2014წ. #AR1233453განაცხადითმომართა არჩილ ძაგანიამ დამოითხოვა სამსახურის16.09.2013წ. #866919 ბრძანებისტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოსზოგადიადმინისტრაციულიკოდექსის96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 16.09.2013წ. #866919 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, დიდი დიღომი–გლდანის მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე, შპს "ELEPHANT"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.13.01.004.125), შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 18 სექტემბრიდან 2014 წლის 18 ივლისის ჩათვლით.

განმცხადებლისგანმარტებით, პროექტისშეთანხმებისას, საპროექტოდოკუმენტაციაშიარასწორადიქნა მითითებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შესაბამისად, აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, კერძოდ, დაფიქსირდა: საერთო ფართობი (კვ.მ).: 918.7, საოფისე ფართობი (კვ.მ).: 456.0, სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 202.0, დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 28.0.

აღნიშნულისგამო, დღეისათვის, განმცხადებელი ითხოვს შევიდეს ცვლილება ბრძანებაში და მიეთითოს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 920.9, საოფისე ფართობი (კვ.მ).: 461.4, სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 192.8, დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 34.0, ხოლო დანარჩენი მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.

ამასთან, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე, #AR1156599 განაცხადით, სამსახურში წარმოდგენილია შპს „ელეფანტის“ დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობა განმცხადებლისავის შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

სამსახურმაგანმცხადებლისმიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საქართველოსზოგადიადმინისტარციულიკოდექსის63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურსმიზანშეწონილადმიაჩნიაგანმცხადებლისმოთხოვნისდაკმაყოფილებატექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივეზემოაღნიშნულიდანგამომდინარე, საქართველოსზოგადიადმინისტრაციულიკოდექსის63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 16.09.2013წ. #866919 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 920.9, საოფისე ფართობი (კვ.მ).: 461.4, სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 192.8, დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 34.0, სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 16.09.2013წ. #866919 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარატავას ქ. #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.